GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

04 Mart / მარტი 2024

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 736.4	6 731.2	11%	16.4%	0.3%

Gürcistan'ın Turizm Potansiyelini Hindistan'da Keşfettiler

საქართველოს ტურისტულ პოტენციალს ინდოეთში გაეცნენ

Gürcistan Ulusal Turizm İdaresi Hindistan'da Yeni Delhi'de SATTE (South Asia's Travel & Tourism Exchange) 2024 Uluslararası Turistik Fuarı'na katıldı.

Asya'nın en büyük turistik fuarlarından birinde Gürcistan Ulusal Turizm İdaresi ile birlikte 28 devlet kurumu, turizm şirketi ve otel yerini aldı.

Fuar çerçevesinde, Gürcistan standında konuklara ülkenin turistik destinasyonları ile tanışma fırsatı sunulmuştur.

SATTE Uluslararası Turistik Fuarı'na 50'den fazla ülkeden yaklaşık 1200 turistik şirketi ve kuruluş iştirak etti. Fuara 35 bini aşkın ziyaretçi katıldı.

საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ინდოეთში, ნიუ-დელიში, SATTE (South Asia's Travel & Tourism Exchange) 2024 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა.

აზიის ერთ-ერთ უდიდეს ტურისტულ გამოფენაზე საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად 28 სახელმწიფო ორგანიზაცია, ტურისტული კომპანია და სასტუმრო იყო წარდგენილი.

გამოფენის ფარგლებში, საქართველოს სტენდთან, სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ საქართველოს ტურისტულ მიმართულებას.

საერთაშორისო ტურისტულ გამოფენას SATTE 50-ზე მეტი ქვეყნიდან 1200-ზე მეტი ტურისტული კომპანია და ორგანიზაცია დაესწრო. გამოფენას 35 ათასზე მეტი ვიზიტორი ჰყავდა.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Gürcistan'ın Yakıt İthalatı

საწვავის იმპორტი საქართველოში

Gürcistan'a 2023'ün ocak ayında 99,487 ton olarak gerçekleşen petrol ve petrol ürünleri ithalatı, 2024'ün ocak ayında 98,944 ton oldu.

Bu sene Gürcistan 98,944 ton yakıt için 82,517 mln dolar ödedi, dolaysıyla 1 litre yakıt ithalatı ortalama 81 sente mal oldu.

Bu sene Gürcistan'a petrol ve petrol ürünleri ihracatı gerçekleştiren ilk 5 ülke sıralaması aşağıdaki gibidir:

- Rusya - 51 253 ton (37,120 mln dolar) ortalama 72 sent
- Romanya - 13 796 ton (10,824 mln dolar) ortalama 78 sent
- Bulgaristan - 11,523 ton (9,497 mln dolar) ortalama 82 sent
- Azerbaycan - 7 540 ton (5,831 mln dolar) ortalama 1,87 dolar
- Türkmenistan - 4 605 ton (3,910 mln dolar) ortalama 85 sent

წელს, იანვარში საქართველოში 98,944 ტონა ნავთობი და ნავთობპროდუქტები შემოვიდა, რაც მცირედით ჩამორჩება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

გასული წლის იანვარში ქვეყანამ 99,487 ტონა პროდუქტის იმპორტი განახორციელა.

ამასთან, წელს საქართველომ 98,944 ტონა საწვავში 82,517 მლნ აშშ დოლარი გადაიხადა, შესაბამისად, გამოდის, 1 ლიტრი საწვავის იმპორტი, საშუალოდ, **81 ცენტი** დაუჯდა.

ტოპ-5 იმპორტიორი ქვეყანა, საიდანაც წელს ნავთობი და ნავთობპროდუქტები შემოვიდა:

- რუსეთი - 51 253 (37,120 მლნ აშშ დოლარი) საშუალოდ, 72 ცენტი
- რუმინეთი - 13 796 ტონა (10,824 მლნ აშშ დოლარი) საშუალოდ, 78 ცენტი
- ბულგარეთი - 11,523 ტონა (9,497 მლნ აშშ დოლარი) საშუალოდ, 82 ცენტი
- აზერბაიჯანი - 7 540 ტონა (5,831 მლნ აშშ დოლარი) საშუალოდ, 1,87 აშშ დოლარი
- თურქმენეთი - 4 605 ტონა (3,910 მლნ აშშ დოლარი) საშუალოდ, 85 ცენტი

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI ეროვნული ᲘᲨᲑᲐᲜᲘ MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Gürcistan-Çin Ticareti

როგორია სავაჭრო მაჩვენებლები საქართველოსა და ჩინეთს შორის

Çin, Gürcistan vatandaşları için vizesiz rejimini getiriyor. Geçen yıl eylül ayında Gürcistan, Çin vatandaşları içi vizeyi kaldırmıştı.

Hükümet Başkanları'nın belirttiği gibi, bunun sadece turizmin gelişmesine değil, ayrıca ülkeler arasında sıkı ticari ve ekonomik bağların kurulmasına da katkıları olacaktır.

Gürcistan-Çin arasında 2023'te ticaret cirosu azalmış durumdaydı. 2023'te ülkeler arasında ticaret hacmi 1,639 milyar dolar oldu, 2022'de ise 1,863 milyar doları bulmuştur.

Geçen yılın aynı dönemde 97,289 milyon dolar olarak gerçekleşen ticaret cirosu, 2024'ün Ocak ayında 96,387 milyon doları buldu.

Bunun dışında, ocak ayında Gürcistan'dan Çin'e yerli üretim payı 17,865 mln dolar olan 19,982 mln dolar değerindeki mallar ihraç edilmiştir. Aynı dönemde ise Çin'den 76,405 mln dolar değerindeki mallar ithal edilmiştir.

İthal Edilen İlk 5 Ürün:

- Bilgi işlem makineleri ve blokları- 5,329 mln dolar
- Kamyonlar - 3,059 mln dolar
- Hafif araçlar - 2,158 mln dolar
- Pnömatik lastik ve yeni lastikler - 1,735 mln dolar
- Lastik veya polimer malzemeden yapılmış ayakkabı- 1,677 mln dolar

İhraç Edilen İlk 5 Ürün:

- Kıymetli metaller cevherleri ve konsantreleri - 14,062 mln dolar
- Zencefil, safran, anuk, defne yaprağı, köri ve diğer baharatlar - 2,429 mln dolar
- Medikal/veteriner enstrüman ve cihazları- 1,831 mln dolar

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

- Bakır atıkları ve hurda bakır - 433.8 bin dolar
- Natürel şaraplar - 406.7 bin dolar

Doğrudan yabancı yatırımlara gelince, Gürcistan Milli İstatistik Kurumu'nun resmi verilerine göre, 2023'ün 3. çeyreğinde Çin tarafından Gürcistan'a 19,322 mln dolar yatırım yapılmıştır.
საქართველოს მოქალაქეებისთვის ჩინეთი უვიზო რეჟიმს აწესებს. გასული წლის სექტემბერში, ჩინეთის მოქალაქეებს საქართველომ მოუხნა სავიზო მიმოსვლა.
როგორც სახელმწიფოების მეთაურები აცხადებენ, ეს არა მხოლოდ ტურიზმის განვითარებას, არამედ ქვეყნებს შორის მჭიდრო სავაჭრო და ეკონომიკურ კავშირებს შეუწყობს ხელს.

საქართველო- ჩინეთს შორის 2023 წელს სავაჭრო ბრუნვა შემცირებული იყო. კერძოდ, ქვეყნებს შორის 1,639 მლრდ აშშ დოლარის ვაჭრობა შედგა, 2022 წელს კი 1,863 მლრდ აშშ დოლარის.

რაც შეეხება თვიურ ჭრილს, 2024 წლის იანვარში ბრუნვამ 96,387 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში 97,289 მლნ აშშ დოლარი.

ამასთან, წელს, იანვარში საქართველოდან ჩინეთში 19,982 მლნ აშშ დოლარის პროდუქტი გავიდა, საიდანაც 17,865 მლნ აშშ დოლარი ადგილობრივ პროდუქციაზე მოდიოდა. რაც შეეხება იმპორტს, 2024 წლის იანვარში, ჩინეთიდან 76,405 მლნ აშშ დოლარის პროდუქტი შემოვიდა.

ტოპ-5 იმპორტირებული პროდუქტი:

- გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები - 5,329 მლნ აშშ დოლარი
- სატვირთო ავტომობილები - 3,059 მლნ აშშ დოლარი
- მსუბუქი ავტომობილები - 2,158 მლნ აშშ დოლარი
- რეზინის პნევმატური სალტეები და საბურავები, ახალი - 1,735 მლნ აშშ დოლარი
- სხვა სახის ფეხსაცმელი რეზინის ან პოლიმერული მასალის ძირითა და ზედაპირით - 1,677 მლნ აშშ დოლარი

ტოპ-5 ექსპორტირებული პროდუქტი:

- მადნები და კონცენტრატები ძვირფასი ლითონებისა - 14,062 მლნ აშშ დოლარი
- კოჭა, ზაფრანა, ურცი, დაფნის ფოთოლი, კარი და სხვა სანელებლები - 2,429 მლნ აშშ დოლარი
- ხელსაწყოები და მოწყობილობები მედიცინაში ან ვეტერინარიაში გამოსაყენებელი - 1,831 მლნ აშშ დოლარი
- ნარჩენები და ჯართი სპილენძისა - 433.8 ათასი აშშ დოლარი
- ყურძნის ნატურალური ღვინოები - 406.7 ათასი აშშ დოლარი

რაც შეეხება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, საქსტატის მონაცემებით, 2023 წლის მესამე კვარტალში ჩინეთმა საქართველოში 19,322 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა.

Gürcistan'da Enflasyon

ინფლაცია საქართველოში

2024'ün şubat ayında Gürcistan'da enflasyon oranı bir önceki aya kıyasla yüzde -0.04, yıllık enflasyon oranı ise yüzde 0.3 olarak gerçekleşti. Şubat 2024'te çekirdek enflasyon oranı ise geçen yılın aynı ayına kıyasla %2.6, tütün hariç yıllık çekirdek enflasyon oranı ise %2.4 olarak belirlendi.

2024 წლის თებერვალში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში -0.04 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 0.3 პროცენტი შეადგინა. რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2024 წლის თებერვალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2.6 პროცენტი შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი 2.4 პროცენტით განისაზღვრა.

Aylık enflasyon oluşmasının temel nedeni aşağıdaki gruplarda fiyat değişimi oldu/ ყოველთვიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

Giyim ve ayakkabı/ ტანსაცმელი და ფეხსაცმელი - 4.6%

Ulaşım/ ტრანსპორტი - 1.0 %

Alkollü içecekler, tütün/ ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო - 1.9 %

Mobilya, ev eşyaları, ev bakımı/ ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა - 1.4 %

Sağlık hizmetleri grubunda fiyat artışı/ ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფში ფასები გაიზარდა - 0.8%



ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol TAV Airports Ziraat Bank

Yıllık enflasyon oluşmasının temel nedeni aşağıdaki gruplarda fiyat değişimi oldu

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

Ulaşım/ ტრანსპორტი - 4.8 %

Çeşitli ürün ve hizmetler/ სხვადასხვა საქონელი და მომსახურება - 8.6 %

Alkollü içecekler, tütün/ ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო - 5.5 %

Gıda ve alkolsüz içecekler/ სურსათი და უალკოჰოლო სასმელები - 3.5 %



TÜİK Şubat Ayı Enflasyon Rakamları Açıkladı

თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტმა თებერვლის თვის ინფლაციის მაჩვენებლები გაასაჯაროვა

Türkiye İstatistik Kurumu (TÜİK) şubat ayına ilişkin Tüketici Fiyat Endeksi (TÜFE) rakamlarını açıkladı.

Buna göre, TÜFE'deki değişim şubatta bir önceki aya göre yüzde 4,53, bir önceki yılın Aralık ayına göre yüzde 11,54, bir önceki yılın aynı ayına göre yüzde 67,07 ve on iki aylık ortalamalara göre yüzde 55,91 olarak gerçekleşti.

Bir önceki yılın aynı ayına göre en az artış gösteren ana grup yüzde 43,44 ile giyim ve ayakkabı oldu. Buna karşılık, bir önceki yılın aynı ayına göre artışın en yüksek olduğu ana grup ise yüzde 94,78 ile lokanta ve oteller oldu.

Ana harcama grupları itibarıyla 2024 yılı Şubat ayında bir önceki aya göre en az artış gösteren ana grup yüzde 0,20 ile giyim ve ayakkabı oldu. Buna karşılık, 2024 yılı Şubat ayında bir önceki aya göre artışın en yüksek olduğu ana grup ise yüzde 12,76 ile eğitim oldu.

Endekste kapsanan 143 temel başlıktan 2024 yılı Şubat ayı itibarıyla, 12 temel başlığın endeksinde düşüş gerçekleşirken, 6 temel başlığın endeksinde değişim olmadı. 125 temel başlığın endeksinde ise artış gerçekleşti.

თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტმა გაასაჯაროვა სამომხმარებლო ფასების ინდექსი თებერვლის თვისთვის.

ინფლაციის მაჩვენებლის მიხედვით, თებერვალში სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილებამ წინა თვესთან შედარებით 4,53%, 2023 წლის დეკემბერთან შედარებით 11,54%, წინა წლის თებერვალთან შედარებით კი 67,07% და თორმეტი თვის საშუალო მონაცემებით 55,91% შეადგინა.

გასული წლის იგივე პერიოდთან შედარებით, ყველაზე ნაკლები გაძვირება (43,44%) ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კატეგორიას შეეხო. ამის საპირისპიროდ, 2023 წელთან შედარებით ყველაზე დიდი ფასნამატი (94,78%) რესტორნებსა და სასტუმროების ჯგუფში შეინიშნება.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI თბილისი ISBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

2024 წლის თებერვალში, ძირითად ჯგუფებში წინა თვესთან შედარებით ყველაზე ნაკლებად, 0,20%-ის ოდენობით ფასებმა ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე იმატა. ამის საპირისპიროდ კი ფასების ყველაზე დიდი ზრდა- 12,76% განათლების სექტორში ისახება.

ინდექსი მოიცავს 143 ძირითად კატეგორიას, 2024 წლის თებერვალში 12 ძირითადი კატეგორიის ინდექსში ფასების კლება დაფიქსირდა, 6 ძირითად კატეგორიაში კი ცვლილება არ ყოფილა. ხოლო 125 ძირითად კატეგორიაში ფასის მატება დაფიქსირდა.

Çin Gürcistan Vatandaşları için Vize Rejimini Kaldırdı

ჩინეთმა საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლა დააწესა

Türkiye Ekonomisi 2023'te %4,5 Büyüdü

თურქეთის ეკონომიკა 2023 წელს 4,5%-ით გაიზარდა

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურს

USD/GEL – 2.6596 **TRY/GEL** – 0.0849 **EUR/GEL** – 2.8745 **GBP/GEL** – 3.3596

BTC/USD – 61,605.16

USD/GEL

26 – 04 Mart 2024



USD/TR

26 – 04 Mart 2024

TRY/GEL

26 – 04 Mart 2024

USD/BTC

26 – 04 Mart 2024

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI თბილისი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank